



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 715

10/04/2018

ქალაქი ბათუმი

715-05-4-201804101704



**გიორგი ბერიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლისა და კახაბერ ფუტკარაძის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების უფროსის ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, კახაბერ ფუტკარაძის 2018 წლის 10 აპრილის №990-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. გიორგი ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და კახაბერ ფუტკარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების II რანგის უფროსი მივლინებული იქნენ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, 2018 წლის 10 აპრილიდან 12 აპრილის ჩათვლით.

2. ქ. თბილისში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა „მიცუბიში აუთლენდერი“ სახელმწიფო ნომრით IJL-101 და გამოეყოს 150 ლიტრი ბენზინის საწვავი.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილებამ (ვ. ფუტკარაძე) უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა